პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

20 აპრილი, ხუთშაბათი ,1989 წ.
№ 77 (9996) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ᲓᲐᲕᲫᲚᲘᲝᲗ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ, ᲐᲦᲕᲐᲓᲒᲘᲜᲝᲗ ᲜᲓᲝᲑᲐ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პროცესების გაძლიერება-გაღრმავების აქტუალური საკითხები განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე, რომელიც გაიმართა 18 აპრილს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. გ. გუმბარაიძის თავმჯდომარეობით.

აღინიშნა, რომ 9 აპრილის ტრაგიკულ ამბებში მთელი სისრულით გამოვლინდა პოლიტიკური კრიზისი, რომელიც იზრდება რესპუბლიკაში ბოლო დროს. ეს დასკვნა ემყარება მუშათა კოლექტივების, შემოქმედი და მეცნიერი ინტელიგენციის, ახალგაზრდობის წარმომადგენლების, პარტიული მუშაკების შეფასებებს.

სხდომის მონაწილეებმა ძირითადი ყურადღება მიაპყრეს შექმნილი მდგომარეობის მიზეზებსა და ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზების ძიებას. მწვავე, უაღრესად გულახდილ საუბარში ჭარბობდა ნდობის თემა, რომელიც დაიკარგა და უნდა აღვადგინოთ. უნდა აღვადგინოთ ხალხისა და საზოგადოების ნდობა რესპუბლიკის ხელმძღვანელებისადმი, სხვადასხვა სოციალური ფენისა და ჯგუფისა ერთმანეთისადმი, ნდობა ადამიანებს შორის, რომლებიც საერთო, საყოველთაო-სახალხო საქმეს აკეთებენ.

საერთო დასკვნა გამოიტანეს იმის შესახებაც, რომ მრავალი პრინციპული საკითხის გამო აზრის დანაწევრებამ და პოლარიზაციამ აშკარა კონფრონტაციის ატმოსფერო წარმოქმნა, რაც იმის შედეგია, რომ უგულებელყვეს დემოკრატიზაციის გზაზე დამდგარი საზოგადოებისათვის აუცილებელი სოციალურ-პოლიტიკური, საერთო-სახალხო დიალოგი, ხელმძღვანელთა გარკვეულმა ნაწილმა ამჯობინა თავად გასდგომოდა მას, და რესპუბლიკაში ეს დიალოგი გაიმართა არაფორმალურ ტრიბუნებზე.

წინააღმდეგობის, ნორმალური დემოკრატიული ურთიერთობის სასარგებლო გონივრული მოსაზრებების უქონლობის შედეგი გახდა ძალის აბსოლუტურად მიუღებელი არგუმენტი.

ამ ნაბიჯის გამართლების ხარისხი, მისი თანმდევი ექსცესების ხასიათი, კონკრეტული ორგანიზატორებისა და შემსრულებლების დანაშაულის დონე ჯერ კიდევ უნდა დაადგინოს ობიექტურმა გამოძიებამ, ალბათ, საზოგადოებრიობის მონაწილეობით. მაგრამ უკვე ახლა შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ბევრ რამეში არასაკმარისი ნდობა განსაზღვრა ობიექტური ინფორმაციის დეფიციტმა. განსაკუთრებით ეს ეხება უსანქციო მიტინგის აღკვეთისათვის 9 აპრილს გამოყენებულ მეთოდებსა და საშუალებებს. ამით მთელი რიგი უწყებების ხელმძღვანელებმა სერიოზული ზიანი მიაყენეს თვით საჯაროობის იდეას.

ადამიანებს რომ სმართლე ვუთხრათ, უნდა ვიცოდეთ იგი. უწყებრივი საიდუმლოების თავგამოდებული დაცვის ანტიხალხური პრაქტიკის დაძლევის მთელი ქვეყნისათვის ერთიან ამოცანას ამასწინანდელი ტრაგიკული ამბების შემთხვევაში დაემატა ადამიანური ურთიერთობის დეფიციტის აღმოფხვრის აუცილებლობა, დეფიციტისა, რომელიც თანდათანობით წარმოიქმნა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში.

ხშირად სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების, ისტორიის „თეთრი ლაქების“, სახელმწიფო წყობილების საკითხების გამო დისკუსიების დროს არგუმენტების ძიების ნაცვლად ოპონენტები პოტენციურ მტრებად გადაიქცნენ იმ დროს, როცა უნდა ემოქმედათ დარწმუნების მეთოდებით, აღმოეფხვრათ ბარიერები, გადაეკეთებინათ პარტნიორებად ისინი, ვისაც ერთი საერთო მიზანი აქვს — ხალხის კეთილდღეობა.

ამის შედეგად არა მარტო დაიკარგა ნორმალური კონტაქტი პარტიულ-სახელმწიფო აპარატსა და საზოგადოებრიობას შორის, არამედ წინა წლების ბევრი პერსპექტიული წამოწყება გაქრა. ბევრი საჭირბოროტო საკითხი, რომლებიც აწუხებდა რესპუბლიკის საზოგადოებრიობას, ბოლო დროს თვალთახედვის არედან გამორჩა ხელმძღვანელობას, რომელიც ხშირად არაკოლეგიურ გადაწყვეტებს იღებდა და რომელმაც ვერ შეძლო შეემუშავებინა კონსტრუქციული მიდგომა მომწიფებული პრობლემებისადმი.

9 აპრილს განცდილმა ტკივილმა შეძრა ყველა. საუბარი დაიწყო, მაგრამ ეს საუბარი ემოციური, გულისწყრომით აღსავსე, გაფთრებული, მწვავე გამოდგა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალი ცოცხალი ძაფები გაჩნდა ადამიანებს შორის, რომლებიც მსჯელობენ მომხდარის მიზეზებზე. და ეს ძაფები შეიძლება ნდობის მტკიცე კვანძად გადაიქცეს, თუ უკვე დღეს გადაიდგა სინამდვილის ადეკვატური ნაბიჯები, თუ დაძაბულობას, რომელსაც, ბუნებრივი, ვერ გავამეტებთ მხოლოდ „რომენდანტის“ საათის გაუქმებით, აუმკურნალებთ ერთი მეცხელურად — გაჯერებული კომპლექსური ღონისძიებით, რეალურად რომ გაითვალისწინებენ მოსახლეობის ყველა ფენის მოთხოვნებსა და სურვილებს. ამისათვის უაღრესად საჭიროა ავაგოთ და ავამოქმედოთ ხალხთან მუდმივი ურთიერთობის, მუდმივი დიალოგის ეფექტიანი სისტემა.

იმისათვის, რომ გავმართოთ ეს დიალოგი, უნდა ვიცოდეთ, რა აღელვებს და აწუხებს ადამიანებს, როგორია მათი მტკივნეული წერტილები. ღრმად უნდა ჩავწვდეთ დაგროვილი პრობლემებისა და შესაძლებლობების არსს, კადრების საქმიან და ზნეობრივ თვისებებს, რომლებმაც უნდა გადაჭრან ეს პრობლემები. საკადრო პოლიტიკაში განსაკუთრებით საჭიროა გააზრებული, აწონილ-დაწონილი გადაწყვეტები. და, თუ მუშაკი თავს ვერ ართმევს ამოცანებს, არა აქვს მათი გადაწყვეტის მორალური უფლება, იგი უნდა შევცვალოთ.

რესპუბლიკის პირველმა ხელმძღვანელებმა საზოგადოებრიობას, პარტიულ ორგანიზაციებს უნდა გააცნონ ზუსტი, გაანალიზებული, კონსტრუქციული სამოქმედო პროგრამა. ბევრ რამეში შეცვალონ პარტიული კომიტეტების მუშაობის სტილი და მეთოდები, მთელი საქმიანობა დააფუძნონ ნამდვილი კოლეგიურობის, ობიექტურობისა და სიმართლის პრინციპებზე.

საბოლოო დასკვნები და ამომწურავი პოლიტიკური შეფასებები უნდა გაკეთდეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. უნდა შეეიმუშაოთ საპროგრამო დოკუმენტები, რომლებიც გაითვალისწინებენ რესპუბლიკისათვის ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას.

ბიუროს სხდომაზე განიხილეს **ერთაშორისი** ურთიერთობის სრულყოფის ამოცანები, **ხაზგასმით** აღინიშნა შთავარი, **პრიორიტეტული** მიზანი, — ვამრავლოთ, განვაკითაროთ, გავამდიდროთ საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული ხალხთა შეგობრობისა და ძმობის ტრადიციები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ა. შევარდნაძე და გ. პ. რაზუმოვსკი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲛᲘᲕᲘᲦᲝᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲨᲘ

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებში, ფიზკულტურულ-სპორტულ და ცალკეულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო პროგრამის შემუშავების პროცესი. ამ საქმეში ჩართულია სხვადასხვა სპეციალისტები, ფართო საზოგადოებრიობა. დღეს გთავაზობთ რამდენიმე მოსაზრებას, რომელიც რედაქციაში მივიღეთ.

გვჭირდება სახელმძღვანელო

ადრე ბევრჯერ დაისვა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სახელმძღვანელოს შედგენისა და გამოცემის საკითხი, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. ახლა, როცა ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო პროგრამის შემუშავებაზე ვმუშაობთ, ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკური აღზრდის სახელმძღვანელოს შედგენა უნდა შევიდეს პროგრამაში და მისი გამოცემა დროულად უნდა განვახორციელოთ.

ნოე კვირიკაშვილი,
ზესტაფონის რაიონის სოფ. ძირულის საშუალო სკოლის ფიზიკურ აღზრდის მასწავლებელი.

აისახოს ხალხური თამაშები და ეროვნული სახეობები

ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო პროგრამაში ფართოდ უნდა აისახოს ხალხური თამაშებისა და სპორტის ეროვნული სახეობების შემდგომი მეცნიერული შესწავლა-დამუშავებისა და პრაქტიკულად დანერგვის პერსპექტივა. თბილისელმა მ. კონტრიძემ ეს საკითხი პირველმა წამოწია (იხ. „ლელო“, 4 აპრილი, 1989 წ.), მაგრამ იგი თბილისში დანერგილ ხალხურ თამაშებს შეეხო. ასეთი თამაშები და სპორტის ეროვნული სახეობები, ცხადია, რესპუბლიკის ყველა რეგიონში უნდა მოვიძიოთ და აღვადგინოთ.

გორის კიკვიძე,
ქუთაისი.

დაწესდეს პრემიები

ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი პროპაგანდისა და ამ საქმეში ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეთა მიზდვის მიზნით უნდა დაწესდეს პრემიები სპორტულ თემაზე საუკეთესო მხატვრული ნაწარმოების, სცენარის, ქანდაკების, მუსიკალური ნაწარმოების შექმნისათვის. ეს მეტად აუცილებელი საკითხია.

შევადგინოთ სპორტული ტერმინოლოგია

საქართველო სპორტული რესპუბლიკაა და, პირდაპირ ვიტყვი, სირცხვილიცაა, რომ დღემდე არ გაგვაჩნია სპორტული ტერმინოლოგია. არადა, ამ საქმეს ჯერ კიდევ 20-იანი წლების მეორე ნახევარში ჩაეყარა საფუძველი. ახლა მეტის დახანება აღარ შეიძლება. ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო პროგრამაში ეს საკითხიც უნდა შევიდეს და, რაც მთავარია, საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

ვახტანგ ჩიქოვანი,
ბათუმი.

საბავშვო ბაღიდან

აღზრდისა და ცოდნის შეძენის პირველი საფეხური სკოლამდელი დაწესებულებებია. წინადადებით შემოვდივარ პროგრამაში შევიდეს სკოლამდელი დაწესებულებებისათვის ფიზიკური ვარჯიშების ილუსტრირებული მეთოდური ლიტერატურის შედგენა-გამოცემა. გემოვნებით შედგენილი ასეთი ლიტერატურა დაეხმარება როგორც აღმზრდელებს, ისე მშობლებს და თვით მოზარდებს.

მაყვალა ნებიერიძე,
თბილისი.

ჩემი აზრით...

კარგი იქნება, თუ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით მივაღწევთ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დროს გამოცდას ფიზიკურ მომზადებაში 5-ბალიანი სისტემით. დარწმუნებული ვარ, ამით ამაღლდება როგორც ერის ჯანმრთელობა, ისე გამოშვებული სპეციალისტების ხარისხობრივი მაჩვენებელიც. ჯანმრთელი ადამიანი ხომ უკეთ აითვისებს სპეციალობასაც და ხალხს მომავალშიც მეტ სარგებლობას მოუტანს. ამით მასობრივი ფიზკულტურაც მოიგებს და დიდი სპორტიც.

უნდა მივაღწიოთ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მარტივი ტიპის მოედნების ქსელის გაზრდას. მშენებლებმა ბინები სპორტულ მოედნებთან ერთად უნდა ჩააბარონ, ან ბინათმშენებლობის დაპროექტების დროს უნდა გაითვალისწინონ მარტივი ტიპის მოედნის მოსაწყობი ხარჯებიც. შემდეგ ეს თანხა საჭიროა ჩაერიცხოს სპორტსახკომის სპორტნაგებობათა შენებლობის საამართველოს, რომელიც პასუხისმგებელი უნდა იყოს მოედნის დროულ ჩაბარებაზე (ამით სპორტსახკომი, რომელიც პასუხს აგებს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე, ხელში ჩაიგდებს თავისი მიზნების განსახორციელებელ საშუალებებსაც).

უნდა მივაღწიოთ სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილის რაოდენობისა და ხარისხის გაზრდასაც.

გონდო ხვედელიძე,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, სპორტულ ორიენტირებაში ქუთაისის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი.

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

18 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე შეხვდა და ესაუბრა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრს გ. დ. ჯავახიშვილს.

შეხვედრის დროს განიხილეს ფართო წრის საკითხები, რომლებიც ეხება საზღვარგარეთის ქვეყნებთან რესპუბლიკის ურთიერთობის მთელი კომპლექსის განვითარების მდგომარეობასა და პერსპექტივებს.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ გარდაქმნა, დემოკრატიზაცია და საჯაროობა გულისხმობს რესპუბლიკების საგარეო საქმეთა სამინისტროების, მუშაობის ძირეულ ცვლილებებს, მათი საქმიანობის სფეროს გაფართოებას, მთელი რიგი პრობლემების გადაჭრის რესპუბლიკების გამგებლობაში გადაცემას, რაც იმის საშუალებას მოგვცემს, რომ აქტიურად წარმოვადგინოთ მათი ინტერესები საზღვარგარეთ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲜᲔᲑᲘ

18 აპრილს თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ე. ა. შევარდნაძე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი.

თბილისის აეროპორტში ე. ა. შევარდნაძე და გ. პ. რაზუმოვსკი გააცილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებმა.

გამგზავრების წინ ე. ა. შევარდნაძე და გ. პ. რაზუმოვსკი ესაუბრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გ. გ. გუმბარაიძეს.

ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამოძიების კომისია, რომლის შემადგენლობაში არიან რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მუშაობას შეუდგა.

18 აპრილს გაიმართა მისი პირველი სხდომა, რომელზეც განიხილეს ორგანიზაციული საკითხები. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი თ. ვ. შავგულიძე.

იხ. მე-2 გვ.

ᲐᲗᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲓᲐᲜ—ᲛᲗᲔᲚ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ

თუკი რაიმე სიახლეს სწრაფი საერთო აღიარება უწერია, ეს პირველ ყოვლისა ითქმის სპორტზე. პლანეტის ერთ რეგიონიდან იგი მალე ვრცელდება მთელი დედამიწის ზურგზე. იგივე ითქმის ოლიმპიურ თამაშებზე, სპორტის ცალკეულ სახეობებზე, ახალ სპორტულ შეჯიბრებებზე.

კანადისა და სსრ კავშირის 10 ქალაქის თაოსნობა (მათ შორის არის რუსთავი) ჩაეტარებინათ მასობრივი დაუსწრებელი გამაჯანსაღებელი ღონისძიებები დევიზით: „დედამიწიდან — მარსამდე!“, უკვე პირველი ასეთი ასპარეზობის შემდეგ მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა. და აი, უკვე დღის წესრიგში დადგა ამ ღონისძიების გეოგრაფიის გაფართოების საკითხი. ერების ვაჯანსაღებისა და დაახლოების ამ შესანიშნავი შესაძლებლობის უფრო მასშტაბურად გამოყენებას ყურადღება მიაპყრო იუნესკომ. მუშავდება პროგრამა, რომელიც ამ მოძრაობაში მსოფლიოს მთელი რიგი რეგიონების ჩართვას ითვალისწინებს.

შეიქმნა საზოგადოებრივი სამედიცინო საექსპერტო კომისია

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეიქმნა საზოგადოებრივი სამედიცინო საექსპერტო კომისია 9 აპრილს თბილისში მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა ექსპერტიზის მიმდინარეობის მეთვალყურეობისათვის. კომისია მუშაობას შეუდგა 11 აპრილს ღამით. კომისიის შემადგენლობაში შედიან მეცნიერი მედიკოსები, საზოგადოებრიობის, მათ შორის არაფორმალური გაერთიანებების წარმომადგენლები. 14 აპრილიდან კომისიის მუშაობაში ჩაერთვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრები.

კომისიის ცნობები

№ 1

9 აპრილს დილით სასწრაფო სამედიცინო სამსახურმა თბილისის საავადმყოფოებში მიიყვანა 200-ზე მეტი დაშავებული. დღისათვის თბილისის საავადმყოფოებში რეგისტრირებულია მიტინგის მონაწილეთა დაღუპვის 18 შემთხვევა. მათ შორის 16 დაღუპულია შემთხვევის ადგილზე, ერთი — 11 აპრილს, მეორე — 13 აპრილს. გარდა ამისა, 11 აპრილს დაიღუპა. კიდევ ერთი კაცი, რომელიც კომენდანტის საათის შემოღების შემდეგ ტყვიით თავში სასიკვდილოდ დაჭრეს.

საავადმყოფოებში მოთავსებულ პირთაგან ზოგიერთს სხეულის სხვადასხვა ნაწილში, უმეტესად კი თავის არეში, მიყენებული აქვთ ჭრილობები და დაზიანებანი როგორც ბასრი, ისე ბლაგვი საგნებით. ბევრი მოწამლულია, რამდენიმე კაცი მძიმე მდგომარეობაშია. როგორც თბილისელმა, მოსკოველმა და ლენინგრადელმა კომპეტენტურმა სპეციალისტებმა ტოქსიკოლოგებმა დაასკვნეს, დაშავებულნი მოწამლული არიან უცნობი ქიმიური ნივთიერებით. სამკურნალო დაწესებულებებს დღემდე მომართავენ ავადმყოფები ინტოქსიკაციის გამო. ჩივილებით, მათი ნაწილი მოთავსებულია სტაციონარში.

დაღუპულთაგან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა 16-ს (ორის ჭირისუფლებმა ექსპერტიზაზე უარი თქვეს).

კომპლექსური ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარებას და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის საბოლოო დასკვნის მიღებას ორი კვირა მაინც დასჭირდება. შედეგები გამოქვეყნდება პრესაში.

მაგრამ ამ ეტაპზე უკვე შეიძლება ითქვას, რომ გარდაცვლილთაგან: ერთი დაღუპულია ნეკნების მრავლობითი მოტეხილობისა და ფილტვების დაშავების გამო.

მეორის დაღუპვის უშუალო მიზეზი ასფიქსიაა (მოგუდვა), განვითარებული ტრავმის მიღების ან მოწამვლის შედეგად;

მესამე გარდაიცვალა საავადმყოფოში ქალა-ტვინის მძიმე ღია ნაპობი ჭრილობის შედეგად;

ორი გარდაიცვალა ტრავმულ-კომპრესიული ასფიქსიით;

დანარჩენ შემთხვევებში სიკვდილის მიზეზი ასევე ასფიქსიაა, ამასთან არ არის გამორიცხული, რომ ამჯერად ასფიქსია განვითარდა ქიმიური ნივთიერებით მოწამვლის ფონზე. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მიცვალებულებიდან ზოგს აღენიშნება ფიზიკური ტრავმაც.

მიცვალებულთა სხეულის ყოველი გარეგანი დაშავება ფოტოგრაფირებულია.

დღეისათვის სამხედრო სამედიცინო დაწესებულებებში მოთავსებულია 25 სამხედრო პირი, მათ შორის 4 მძიმე მდგომარეობაშია;

შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰოსპიტალში წევს მილიციის 12 თანამშრომელი, მათ შორის 4 მძიმე მდგომარეობაშია;

საზოგადოებრივ-საექსპერტო კომისიის მუშაობა გრძელდება.

№ 2

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი სამედიცინო საექსპერტო კომისია განაგრძობს სტაციონარებში მყოფ დაშავებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას.

არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის მონაცემების მიხედვით, 9 აპრილიდან დღემდე სამედიცინო დაწესებულებების სტაციონარებში მოთავსებულია 257 კაცი. გარდაიცვალა სამი. 133 კაცი საავადმყოფოებიდან გაეწერა, რადგან მკურნალობის შედეგად მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ზოგიერთმა დაშავებულმა პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების შემდეგ თავისი სურვილით დატოვა სტაციონარი. ასეთ პირებს კომისია დაჟინებით სთხოვს, ნუ გამოიჩენენ დაუდევრობას საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ.

16 აპრილის დილის 9 საათისათვის საავადმყოფოებში იყო 121 ავადმყოფი, მათ შორის 51 ქალი და 10 ყმაწვილი.

კომისიის წევრებმა ინახულეს დაშავებულთა დიდი ნაწილი როგორც რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს საავადმყოფოებში, ისე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰოსპიტალში. კომისია ეწვია აგრეთვე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჰოსპიტალსა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ლაზარეთს.

სამხედრო პირთა შორის მსხვერპლი არ არის.

დაშავებულთა რიცხვისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ უწყებათაგან ადრე მოწოდებულ ინფორმაციასა და ფაქტობრივ მონაცემებს შორის სხვაობა არ შეინიშნება.

რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს საავადმყოფოებში რეგისტრირებულია მოწამვლის ნიშნებით 66 კაცი. ბასრი და ბლაგვი საგნებით მიყენებული სხვადასხვა ჭრილობებით — 24, თავის ტრამვებით — 67, მოტეხილობებით— 11, ტყვიით დაჭრილები — 3 კაცი.

დაშავებულთა დიდ ნაწილს აღენიშნება ერთდროულად სხვადასხვა სახის დაზიანებები, რის გამოც აღნუსხულ დაზიანებათა რიცხვი არ ემთხვევა სტაციონარში მოთავსებულთა რიცხვს.

რამდენიმე პაციენტის მდგომარეობა მძიმეა: სამედიცინო ეთიკა არ გვაძლევს უფლებას დავასახელოთ მათი ვინაობა და გამოვაქვეყნოთ ცნობები ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

საზოგადოებრივი— სამედიცინო საექსპერტო კომისია მუშაობას განაგრძობს.

• • •

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შექმნილ საზოგადოებრივი სამედიცინო საექსპერტო კომისიის გუშინწინდელ სხდომას **„კომუნისტის“** კორესპონდენტიც ესწრებოდა.

სხდომაზე დიდი სჯა-ბაასი, ცხარე კამათი გაიმართა იმის დასადგენად, თუ რა სახის მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებები გამოიყენეს ცხრა აპრილს რუსთაველის პროსპექტზე.

ქიმიკოსების და ტოქსიკოლოგების დახმარებით, ამ ხნის განმავლობაში ზოგი ნივთიერება, თითქოს დადგინდა კიდეც. თუმცა, აი, რას ამბობს პროფესორი **ბიძინა ჭუმბურიძე:**

— გარდაცვლილების ტანსაცმელზე და ფეხსაცმელზე აღმოჩნდა ნივთიერება, რომელიც ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ, ცხადია, კვლავაც დაგვჭირდება კვლევა, და ამ საქმეში დაგვეხმარებიან უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სამედიცინო ინსტიტუტის ქიმიის კათედრები...

„კომუნისტის“ გუშინწინდელ ნომერში, ცხადია, წაიკითხავდით, რომ თბილისში 1989 წლის 9 აპრილის მომხდარ გარემოებათა გამოსარკვევად შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისია რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან.

საზოგადოებრივი სამედიცინო საექსპერტო კომისიის გუშინწინდელ სხდომაზე ითქვა, რომ ეს კომისია, ალბათ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიას დაექვემდებარება.

ახალი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია

კალათბურთი

სათანრიგო მოთხოვნები ვაჟები და ქალები

სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი — უნდა მონაწილეობდეს: ოლიმპიურ თამაშებში ან მსოფლიო ჩემპიონატში I-II ადგილებზე გასულ სსრ კავშირის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში.

ევროპის ჩემპიონატში I-II ადგილზე გასულ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში;

„ა“ კატეგორიის საერთაშორისო შეჯიბრებაში I ადგილზე გასულ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში. საკონტინენტთაშორისო თასზე I ადგილზე გასულ საკლუბო გუნდის შემადგენლობაში. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე, თასების მფლობელთა თასსა ან კორაჩის თასზე I-II ადგილზე გასულ საკლუბო გუნდის შემადგენლობაში.

19 წლამდე იუნიორთა (გოგოების) მსოფლიო პირველობაში I ადგილზე გასულ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

დაიკავოს I ადგილი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე.

სსრ კავშირის სპორტის ოსტატი — მონაწილეობდეს:

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში საერთაშორისო შეჯიბრებებში, 17 წლამდე ჭაბუკთა (გოგოები) ან 19 წლამდე იუნიორთა (გოგოები) 19 წლამდე ევროპის პირველობაზე I ადგილზე გასულ სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში;

19 წლამდე იუნიორთა (გოგოები) მსოფლიო პირველობაში II-III ადგილებზე გასულ სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში;

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე I-VI ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში:

სსრ კავშირის ჩემპიონატში (უმაღლესი ლიგა) I-VIII ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში:

სსრ კავშირის პირველობაში (პირველი ლიგა) I-III ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

სსრ კავშირის თასზე I-II ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების პირველობაში I-II ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

სსრ კავშირის იუნიორთა პირველობაში I ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში I-III ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

გუნდის შემადგენლობაში, რომელსაც წლის განმავლობაში მოპოვებული აქვს 8 გამარჯვება — 6% სპორტის ოსტატებისაგან შემდგარ გუნდებთან, მათ შორის 5 გამარჯვება სსრ კავშირის ჩემპიონატში, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე. სსრ კავშირის თასის გათამაშებაში, ხოლო 3 დანარჩენი რესპუბლიკის, მოსკოვის, ლენინგრადის საუწყებო ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოების, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების, ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო პირველობებში (ყოველ თამაშში მონაწილეობის პირობით).

დუბლშემადგენლობათა პირველობაში I ადგილზე გასული სსრ კავშირის გუნდის შემადგენლობაში.

შევიდეს სსრ კავშირის 25 უძლიერეს მოთამაშეთა შორის.

სპორტის ოსტატობის კანდიდატი

უნდა მონაწილეობდეს: სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის გუნდის შემადგენლობაში; I ლიგის გუნდების საკავშირო პირველობაში IV-VI ადგილებზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

სოციალისტური ქვეყნების მოზარდ სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობაში“ პირველ ადგილზე გასული სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე IV-VI ადგილებზე გასულ რესპუბლიკის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში;

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მოკავშირე რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში;

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების ცენტრალური საბჭოების პირველობებში I ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში;

დუბლშემადგენლობათა სსრ კავშირის პირველობაზე II-III ადგილებზე გასული გუნდების შემადგენლობაში;

სსრ კავშირის თასის ნახევარფინალური მატჩის მონაწილე გუნდის შემადგენლობაში.

17-18 წლის ჭაბუკთა (გოგოები) საკავშირო შეჯიბრებაში I ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

მოკავშირე რესპუბლიკების მოსკოვისა ან ლენინგრადის 15 უძლიერეს მოთამაშეთა შორის.

I თანრიგი

მონაწილეობდეს:

სსრ კავშირის I ლიგის გუნდის შემადგენლობაში;

გუნდში, რომელსაც წლის განმავლობაში I თანრიგის გუნდებთან მოიპოვებს 6 გამარჯვებას, ან 3 გამარჯვებას I თანრიგისა და 6 მეორე თანრიგის გუნდებთან არა უმცირეს საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაზე;

უფროსი ასაკის (17-18 წლის) გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც მოსწავლეთა სპარტაკიადაზე, I-VI ან 17-18 წლის (გოგოები) საკავშირო პირველობაში II-VI ადგილები დაიკავა.

უფროსი ასაკის მოზარდთა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის, პირველობებში ამ ასაკის, სულ ცოტა 8 გუნდის მონაწილეობის პირობით, I ადგილზე გასულ გუნდში.

II თანრიგი

მონაწილეობდეს: გუნდში, რომელიც წლის განმავლობაში მეორეთანრიგოსან ან მესამეთანრიგოსან გუნდებთან 14 გამარჯვება მოიპოვა:

III თანრიგი

მონაწილეობდეს: გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც გაიმარჯვა ნებისმიერი კვალიფიკაციის 7 გუნდთან და მონაწილეობდა 14 შეხვედრაში.

მოზარდთა I თანრიგი — მონაწილეობდეს:

გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის პირველობებში ამ ასაკის 8 გუნდის მონაწილეობით, II-III ადგილები დაიკავა;

საშუალო ასაკის (15-16) მოკავშირე რესპუბლიკების მოსკოვის, ლენინგრადის პირველობებში ამ ასაკის 8 გუნდის მონაწილეობით I ადგილზე გასული გუნდის შემადგენლობაში.

გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც საშუალო ან უფროსი ასაკის მოზარდთა პირველთანრიგოსან გუნდებთან მოიპოვა 7 გამარჯვება ან მეორეთანრიგოსან გუნდებთან 14 გამარჯვება, სულ ცოტა 20 შეხვედრაში.

მოზარდთა II თანრიგი — მონაწილეობდეს:

მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის საშუალო ასაკის მოზარდთა გუნდების პირველობებში II-III ადგილზე გასული გუნდების, მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის უფროსი ასაკის მოზარდთა პირველობებში IV-VI ადგილებზე გასული გუნდების შემადგენლობაში. საშუალო ან უფროსი ასაკის მოზარდთა გუნდში, რომელმაც წლის განმავლობაში 20 შეხვედრაში 7 გამარჯვება მოიპოვა II თანრიგოსან გუნდებთან.

მოზარდთა III თანრიგი

მონაწილეობდეს: წლის განმავლობაში ნებისმიერი მასშტაბის სულ ცოტა 15 შეხვედრაში იმ პირობით, რომ ფიზკულტურის კოლექტივის სპორტულ სექციაში გავლილი აქვს წინასწარი მომზადება.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 75, 76.

განახლდა მშვათა სპარტაკიადა

დადგა მუშათა სპარტაკიადის ახალი ეტაპის დრო. 22 და 23 აპრილს გაიმართება ზონალური შეჯიბრებები. ამ ეტაპის ასპარეზობებს უმასპინძლებს **ვანი, ზესტაფონი, მცხეთა, ბორჯომი და გურჯაანი.**

ადგილობრივმა სპორტულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. შეჯიბრებებს დაესწრებიან „ლელოს“ კორესპონდენტები.

ავტორალი-89

ამას წინათ რუსთავში, რესპუბლიკის დოსაფის სპორტულ-ტექნიკური კლუბის ბაზაზე გაიმართა საქართველოს ღია ჩემპიონატი ავტორალში. მონაწილეთა შორის იყვნენ თბილისელი, სოხუმელი, ქუთაისელი, ორჯონიკიძელი, სოჭელი და კრასნოდარელი სპორტსმენები, სულ 38 ეკიპაჟი. სტარტზე სამი კლასის ავტომობილები გამოვიდნენ: მე-7 („ჟიგული“, 1300 კბ სმ), მე-8 („ჟიგული“, 1600 კბ სმ) და მე-10 („ვოლგა“). 520-კილომეტრიანი დისტანციის დამთავრების შემდეგ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გუნდური პირველობა კრასნოდარელმა რალისტებმა მოიპოვეს. საქართველოს დოსაფის წარმომადგენლები მესამე ადგილს დასჯერდნენ. მე-7 კლასში პირველი და მეორე ადგილები შესაბამისად დაიკავეს გიორგი ლომხნაძე-პაატა გამბარაშვილის (დოსაფი) და ვლადიმერ გოგიანუგზარ ბაინდურაშვილის (სპი) დუეტებმა. მე-8 კლასში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ხელი მოეცარათ. მე-10 კლასში მესამე ადგილი დაიკავა ნუგზარ ჩიტაძისა და ალიკ ალიკპეროვის დუეტმა (თბილისის მე-3 მსუბუქი ტექნომოტორების პარკი). ამავე კლასში მეხუთე ადგილი მოიპოვეს ქუთაისელმა რალისტებმა.

ბურაბ მგალობლიშვილი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

ბუშინ გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის VIII ტურის შეხვედრები.

თბილისის დინამოელები ამ ტურში მინსკში შეხვდნენ ადგილობრივ თანაკლუბელებს. თამაში დამთავრდა მინსკელთა გამარჯვებით — 1:0.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები:

„ლოკომოტივი“ — „სპარტაკი“ 0:0

„დინამო“ კ. — „შახტიორი“ 1:0

„ზენიტი“ — „ჩერნომორეცი“ 0:1

„მეტალისტი“ — „პამირი“ 1:1

I ლიგა

18 აპრილს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების IV ტურის მატჩები.

„გურია“ (ლანჩხუთი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 3:0 (2:0)

ლანჩხუთი. „გურიის“ სტადიონი. 18 აპრილი.

„გურია“: აბუსერიძე, მ. თევზაძე, ოლეფირენკო, დანელია, კუზნეცოვი (კაბისაშვილი), ცომაია, ეორდანია, დოზმოროვი, კორლალიძე, ფრიდონაშვილი, გურული.

„შინიკი“: გრანატოვი, ნოვოსიოლოვი, მაკაროვი, ტიუტიკოვი, მოროზოვი, ბოდროვი, მარტიანოვი, ბილიალეტდინოვი, კოლესნიკოვი, რეხნიაკოვი (მოროზოვი), პოპოვი.

მსაჯი ა. კარტავცევი (მოსკოვი).

ამ დღეს ლანჩხუთის სტადიონზე შედგა I ლიგის 1989 წლის საკავშირო გათამაშების გახსნის ცერემონიალი, ფეხბურთელებმა და მაყურებლებმა თამაშის დაწყებამდე წუთიერი დუმილით პატივი სცეს 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნას. ლანჩხუთელ ფეხბურთელებს მკლავზე სამგლოვიარო სახვევი ჰქონდათ გაკეთებული, სტადიონის ტრიბუნებზე მთელი მატჩის მსვლელობაში არც ერთხელ არ დაუძახიათ ტრადიციული „გურია“, „გურია“, ყველა ლანჩხუთელმა როგორც საკუთარი ოჯახის დანაკარგი, ისე განიცადა 9 აპრილის მსხვერპლი.

თითქმის მთელი თამაში ლანჩხუთელთა დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა, „გურიის“ ფეხბურთელებმა ყველა რგოლში დაჯაბნეს მეტოქე, განსაკუთრებით აქტიურობდა ნახევარდაცვის რგოლი, სადაც კარგი თამაშით გამოირჩეოდა ცომაია. ანგარიში მე-18 წუთზე გახსნა გურულმა, მან ინდივიდუალური ბრძოლა მოუგო მცველებს და ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი „შინიკის“ კარში — 1:0.

21-ე წუთზე კორღალიძის შორი ძლიერი დარტყმა გრანატოვმა მოიგერია, მაგრამ ბურთს ყველაზე ადრე დოზმოროვმა მიუსწრო — 2:0.

62-ე წუთზე იმავე დოზმოროვმა გაიმარჯვა მცველებთან ბრძოლაში და სამამდე გაზარდა ანგარიში.

დარჩენილ დროში მასპინძლებს კიდევ შეეძლოთ ბურთის გატანა, მაგრამ ეს ანგარიშიც საკმაოდ ნათლად გამოხატავს მათს სრულ უპირატესობას.

ავთანდილ ორმოცაძე.
(„ლელოს“ საკ. კორ.).

სხვა შეხვედრათა შედეგები: „დინამო“ (სტავროპოლი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 1:0, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „კაირატი“ (ალმა-ათა) 1:0, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:0, „დაუგავა“ (რიგა) — „ნეფტჩი“ (ბაქო) 0:1, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 0:1, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 1:1.

„ჰილსბოროს“ ტრაგედიის ეჰო

შეფილდში მომხდარი დიდი ტრაგედიის მერე, რომელშიც ინგლისის თასზე „ლივერპულისა“ და „ნოტინგემ ფორესტის“ მატჩის მსვლელობისას დაიღუპა 93 გულშემატკივარი (ეს ციფრი ჯერ კიდევ ზუსტდება) და 170 დაიჭრა, ეტყობა, ინგლისის საფეხბურთო კლუბებს ევროპის საკლუბო გათამაშებებში არ დაუშვებენ. ამის თაობაზე პრესკონფერენციაზე განცხადებით გამოვიდა ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი.

— რა თქმა უნდა, ეს ჩემი პირადი შეხედულებაა, — თქვა მან. — საკითხს ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის აღმასკომი გადაწყვეტს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ინგლისელმა გულშემატკივრებმა კიდევ ერთხელ აჩვენეს მთელ მსოფლიოს, რომ ისინი ღირსნი არ არიან მაღალი რანგის ფეხბურთს დაესწრონ. მათი ხულიგნობა ყოველგვარ საზღვრებს სცდება. თუმცა, აღარავის აეკვებს, ამ საშინელ ტრაგედიაში გარკვეული როლი შეასრულა „ჰილსბოროს“ სტადიონმაც, რომელიც 1899 წელსაა აშენებული. მისი კონსტრუქცია უმთავრესად ხის დეტალებისგანაა დამზადებული, ტრიბუნებზე ადგილების უმეტესობა ფეხზე დასადგომია. რა თქმა უნდა, ასეთი სტადიონი ვერ გაუძლებს დღევანდელ ვითარებას.

გ. აიგნერს დაეთანხმა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი ზ. ბლატერი:

— ინგლისელი გულშემატკივრები საკუთარი თავის მტრები არიან. „ეიზელის“ კატასტროფამ, ეტყობა, მათ ვერაფერი ასწავლა.

ცნობილი ფრანგი ფეხბურთის სპეციალისტები მიშელ იდალგო და მიშელ პლატინი შეძრწუნებული არიან შეფილდში მომხდარი ინციდენტით, მათ შიში გამოთქვეს ევროპის საკლუბო ტურნირებზე ინგლისის კლუბების დაბრუნების თაობაზე.

— „ეიზელზე“ და „ჰილსბოროზე“ მომხდარი ინციდენტებისა და ადამიანთა მსხვერპლის მიზეზები ერთი და იგივეა: გულშემატკივართა ხულიგნური საქციელი, მატჩების უხეირო ორგანიზაცია, სტადიონების ყოვლად არანორმალური მდგომარეობა,—თქვა მ. პლატინიმ.

დაიწყო მომხდარი ტრაგედიის გამოძიება. ინგლისში ნაკადად მოდის სამძიმრის დეპეშები დაღუპულთა ახლობლებისა და ნათესავების მისამართით. დეპეშებს შორის არის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების სამძიმარიც. კერძოდ, ასეთი დეპეშები გაგზავნეს ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, რომის პაპმა იოან პაველ მეორემ, ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა.

თუ საქმე არ გამოსწორდა...

როგორც ჩანს, იტალიის „რომას“ ვერ უშველა მწვრთნელის შეცვლამ. ახალი ხელმძღვანელი, წარსულში ნაკრების მოთამაშე ლუკინო სპინოზი, ვერ პოულობს საერთო ენას ფეხბურთელებთან. კლუბის პრეზიდენტის განცხადებით, თუ საქმე არ გამოსწორდება, დააბრუნებენ ყოფილ მწვრთნელ ლიდჰოლმს და გადაადგილებენ ფეხბურთელთა რიგებს. მომდინარეობს მოლაპარაკება დრეზდენის „დინამოდან“ სამერისა და პილცის გადმოყვანის თაობაზე.

ოლეგ ბლოხინის ბენეფისი

„ფეხბურთის ვარსკვლავები — მშვიდობისა და გულმოწყალებისთვის“ — ასეთი დევიზით ჩაივლის 28 ივნისს კიევში გამოჩენილი ფეხბურთელის ოლეგ ბლოხინის გამოსათხოვარი მატჩი. 100-ათასიან რესპუბლიკურ სტადიონზე ამ შესანიშნავი ფეხბურთელის გასაცილებლად სათამაშოდ გამოვლენ სსრ კავშირისა და „დანარჩენი მსოფლიოს“ ნაკრები გუნდები.

სსრ კავშირის ნაკრებში, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ვ. ლობანოვსკი, ითამაშებს ამჟამად მოქმედი ყველა საუკეთესო საბჭოთა ფეხბურთელი, მათ შორის ისინიც, ვინც უცხოეთის გუნდებში გამოდიან. მსოფლიო ნაკრებს ხელმძღვანელობს გფრ-ის ნაკრების მწვრთნელი ფრანც ბეკენბაუერი, ამ თამაშში მონაწილეობისთვის თანხმობა განაცხადეს ბელგიელმა პ. ფაფმა, იტალიელმა ვიალიმ, არგენტინელმა კემპესმა, მექსიკელმა სანჩესმა, მინდორზე გამოვლენ, აგრეთვე, ჰოლანდიის, არგენტინის, საფრანგეთის, გფრ-ის საუკეთესო ფეხბურთელები.

17 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც სიტყვით გამოვიდა თვით ოლეგ ბლოხინი. მან განაცხადა:

— ახლა 37 წლისა ვარ, 20 სეზონი გავატარე საფეხბურთო მინდორზე, 109-ჯერ ვითამაშე სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, 28 ივნისს კი გამოვეთხოვები ფეხბურთის მოყვარულებს. შემდეგ, შესაძლოა, გავაგრძელო კონტრაქტი ავსტრიის „ფორვერტსთან“, მაგრამ უკვე მოთამაშე მწვრთნელის როლში.

ეს გამოსათხოვარი მატჩი უკრაინის დედაქალაქში იქნება ფეხბურთის დიდი სამდღიანი ზეიმის შემადგენელი ნაწილი, ზეიმზე იქნება საქველმოქმედო აუქციონები, შეწირვათა შეგროვება, განხორციელდება გულმოწყალების სხვადასხვა აქტი.

— წლევანდელი საფეხბურთო ზაფხული, — აღნიშნა სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა ნიკიტა სიმონიანმა. — საერთოდ მდიდარია ამგვარი სიმბოლური და ღირსშესანიშნავი შეხვედრებით. ასე, მაგალითად, 21 ივნისს ერევანში შედგება სსრ კავშირისა და ევროპის ვეტერან ფეხბურთელთა საპასუხო მატჩი, რომლის მთელი შემოსავალი, ისევე როგორც აუგსბურგის პირველი ჩატარებული მატჩისა, მთლიანად გადაეცემა სომხეთში მიწისძვრისგან დაზარალებულთა ფონდს. 10 აგვისტოს კი გულშემატკივრებს მოსკოვში მოელით კიდევ ერთი მეტად საინტერესო მატჩი მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავთა მონაწილეობით. იგი მიეძღვნება ჩვენი ლეგენდარული მეკარის ლევ იაშინის დაბადების 60 წლისთავს.

30 წლის წინ ინგლისის ნაკრებში წარმატებით გამოდიოდა მისი მამა. ნ. კლაუფი საუკეთესო ბომბარდირია „ნოტინგემ ფორესტში“, 15-ჯერ ითამაშა ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში, ინგლისის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ბობი რობსონი ერთობ მაღალი შეხედულებისაა ამ ფეხბურთელზე.

მწვრთნელის აზრით ნაიჯელ კლაუფი მრავალმხრივი მოთამაშეა, ტექნიკური, ტაქტიკურად ერუდირებული, მეტად სწრაფი, უყვარს კომბინაციური თამაში.

ლისაბონი. პორტუგალიის ნაკრებს 26 აპრილს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი აქვს შვეიცარიის გუნდთან. ამ დღეს პორტუგალიის ნაკრებში ვერ ითამაშებს განთქმული ფეხბურთელი პაულო ფუტრე. იგი კონტრაქტით გამოდის მადრიდის „ატლეტიკოში“ და ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო მატჩში საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო. პ. ფუტრეს ნაცვლად პორტუგალიის ნაკრებში შეიყვანეს ლისაბონის „სპორტინგის“ ახალგაზრდა ფეხბურთელი ჟოზე ლიმა.

მადრიდი. ესპანეთის ნაკრებს 26 აპრილს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი მოელის დუბლინში ირლანდიელ ფეხბურთელებთან, ესპანელთა მთავარმა მწვრთნელმა ლუის სუარესმა განაცხადა, რომ მისი გუნდის რამდენიმე თავდამსხმელი ტრავმირვბულია, რის გამოც მათ ადგილს დაიკავებენ ნახევარმცველები, რომლებიც უმთავრესად დაცვითს ფუნქციებს შეასრულებენ —ხულიო სალინასი და ფერნანდო ჰიერო. მწვრთნელი დუბლინში წაიყვანს მხოლოდ ერთ, აშკარა ფორვარდს— ემილიო ბუტრაგენიოს.

● **ზოტლანდიის** ნაკრებისა. და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი 32 წლის გორდონ სტრაჩანი გასაყიდ ფეხბურთელთა სიაში მოხვდა.

● **1970 წლის** მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელი რობერტო რიველინო ხსნის საფეხბურთო სკოლას. 43 წლის ვეტერანი ამჟამად ბენზინის სადგურის მფლობელია.

● **„ბლაზგო რეინჯერსის“** მწვრთნელმა გრემ საუნესმა „დანდი იუნაიტედთან“ მატჩის დროს მსაჯი გალანძღა. იგი დაჯარიმდა 100 გირვანქა სტერლინგით.

● **„სელტიკის“** თავდამსხმელი ფრანკ მაკავენი ინგლისის „ვესთ ჰემში“ დაბრუნდა. ამჯერად იგი მილიონ 250 ათას გირვანქა სტერლინგად გაიყიდა.

(სპკ. ინფ.)

II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი, III ტურის შეხვედრები:

„ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) — „ნარტი“ (ჩერკესკი) 0:0, „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 3:0, „ზვეზდა“ (გოროდიშჩე) — „ბაკინეცი“ (ბაქო) 0:0, „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „შევარდენი“ (თბილისი) 2:1, „ტორპედო“ (ვოლუსკი) — „დილა“ (გორი) 3:0, „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „კოლხეთი (ხობი) 1:1, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ხაზარი“ (სუმგაითი) 1:0, ომც (თბილისი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 აპრილისთვის

„მეტალ.“	3	2	1	0	3-1	5
„ლოკომ.“ ხ.	3	2	0	1	7-2	4
„ხაზარი“ ხ.	3	2	0	1	4-2	4
„ლოკომ.“ (მ. წყ.)	3	1	2	0	6-4	4
„გოიაზანი“	2	1	1	0	5-2	3
„ტექსტილ.“	2	1	1	0	4-1	3
„კოლხეთი“ ხ.	2	1	1	0	3-2	3
„ნარტი“	3	1	1	1	2-1	3
„დინამო“ ს.	1	1	0	0	2-0	2
„ტორპედო“	2	1	0	1	3-2	2
„ატომმაში“	2	1	0	1	3-3	2
„კოლხეთი“ ფ.	2	1	0	1	2-2	2
„ხაზარი“ ლ.	3	1	0	2	2-3	2
„ქიაფაზი“	3	1	0	2	3-5	2
„დილა“	2	1	0	1	2-4	2
ომც (თბ.)	3	1	0	2	4-7	2
„ბაკინეცი“	2	0	2	0	1-1	2
„მერცხალი“	3	0	1	2	2-5	1
„დინ.“ (მახ.)	2	0	1	1	1-4	1
„ზვეზდა“	2	0	1	1	1-4	1
„შევარდენი“	1	0	0	1	1-2	0
„ყარაბაღი“	1	0	0	1	0-4	0

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ვინ იქნება მერვე ფინალისტი?

კიევი. თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ჩაატარეს კიევის „სტროიტელთან“ და დამარცხდნენ — 66:102 (32:58).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 აპრილისთვის

„უალგ.“ (კაუნ.)	42	37	5	79
„სტროიტ.“ (კ.)	43	35	8	78
ასკ (ალმა-ათა)	42	28	14	70
ცსკა	39	26	13	65
„დინამო“ (მ.)	42	23	19	65
„სტატიბა“ (ვილ.)	44	20	24	64
„კალევი“ (ტალ.)	42	20	22	62
რტი (მინსკი)	42	16	26	58
„დინამო“ (თბ.)	39	17	22	56
ვეფ (რიგა)	43	10	33	53
„შახტ.“ (დონ.)	40	11	29	51
„სპარტაკი“ (ლენ.)	42	7	35	40

როგორც ცხრილიდან ჩანს, შვიდმა გუნდმა უკვე გაინაღდა ფინალურ ტურნირში თამაშის უფლება. ესენია: კაუნასის „უალგრისი“, კიევის „სტროიტელი“, ალმა-ათის ასკ, ცსკა, მოსკოვის „დინამო“, ვილნიუსის „სტატიბა“ და ტალინის „კალევი“. მერვე ვაკანტურ ადგილზე პრეტენზიას აცხადებს ორი კოლექტივი — მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდი და თბილისის „დინამო“.

ბელორუსიის კალათბურთელებს ჩასატარებელი დარჩათ ორი შეხვედრა შინ ცსკა-სთან. მოსკოვის არმიელებს თავის მხრივ მწვავე მეტოქეობა აქვთ დედაქალაქის „დინამოსთან“, რომელიც ასევე მესამე ადგილისთვის ბრძოლის კარგ შანსებს ინარჩუნებს. ასე რომ, ცსკა-ს დარჩენილ შეხვედრებში ქულები ჰაერივით სჭირდება. ცხადია, ამის გამო ბრძოლა მინსკისა და ცსკა-ს კალათბურთელთა შორის მძაფრი და დაძაბული იქნება.

თბილისის „დინამოს“ (რტი-სთან შედარებით) ერთი მოგებით მეტი აქვს. ეს მას გარკვეულ უპირატესობას აძლევს. ჩვენს კალათბურთელებს „სტროიტელთან“ განმეორებითი მატჩის გარდა ჩასატარებელი აქვთ ოთხი შეხვედრა. ორი შინ მოსკოვის თანაკლუბელებთან და ორიც სტუმრად ალმა-ათის არმიელებთან. როგორც ხედავთ თბილისის „დინამო“ უკეთეს შანსებს ინარჩუნებს.

და კიდევ ერთი გარემოება: თბილისისა და მინსკის კალათბურთელთა ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა დინამოელთა მხარესაა — 3:1. ამან კი შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს იმ შემთხვევაში, თუ ორივე მეტოქე თანაბარ ქულებს დააგროვებს. ერთი სიტყვით, მერვე ფინალისტის ვინაობას, დარჩენილი შეხვედრების შედეგები გაარკვევს.

ორნი ზღანაპარგზე

სტოკჰოლმი. ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩები ასე დამთავრდა: სსრ კავშირი — ფინეთი 4:1 (1:1, 0:0, 3:0), ჩეხოსლოვაკია-პოლონეთი 15:0 (4:0, 8:0, 3:0,), შვეიცარია — გფრ 3:3 (1:1, 2:0, 0:2), კანადა — აშშ 8:2 (2:2, 3:0, 3:0).

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
კანადა	3	3	0	0	25-6	6
სსრკ	3	3	0	0	13-4	6
ჩეხოსლ.	3	2	1	0	21-4	5
შვეიცარია	3	2	1	0	12-6	5
გფრ	3	0	2	1	7-11	2
ფინეთი	3	0	0	3	6-13	0
აშშ	3	0	0	3	6-16	0
პოლონეთი	3	0	0	3	1-31	0

პირველი პრიზი აზმაიფარაშვილს

ბერლინში დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი — ერნსტ ტელმანის მემორიალი. 9 შესაძლებლიდან 6 ქულით პირველ პრიზს დაეუფლა თბილისელი საერთაშორისო დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი. 5,5-5,5 ქულით II-III ადგილები გაიყვეს კიდევ ერთმა თბილისელმა დიდოსტატმა გენადი ზაიჩიკმა და უვე ბიონშმა (გდრ).





ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ყველაზე ხანმოკლე პარტია

ბარსელონაში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის გათამაშების IV ეტაპი. XIII-XVI ტურების შედეგები — **XIII ტური:** შორტი — ჰიუბნერი 0,5:0,5, ლიუბოევიჩი — კორჩნოი 0,5:0,5, სპილმენი — სეირავანი 0,5:0,5, ბელიავსკი-იუსუპოვი 0,5:0,5, სალოვი-რიბლი 0,5:0,5, ვაჰანიანი-კასპაროვი 0,5:0,5, ნიკოლიჩი-ილესკასი 1:0, ნოგეირასი-სპასკი 0,5:0,5. ისვენებდა ჰიარტარსონი; **XIV ტური:** ილესკასი-ნოგეირასი 0,5:0,5, კასპაროვი-ნიკოლიჩი 0,5:0,5, რიბლი-ვაჰანიანი 0,5:0,5, იუსუპოვი-სალოვი 0:1, კორჩნოი-სპილმენი 1:0, ჰიუბნერი-ლიუბოევიჩი 0,5:0,5, ჰიარტარსონი შორტი 1:0. გადაიდო სეირავან-ბელიავსკის პარტია. ისვენებდა ნოგეირასი; **XV ტური:** ლიუბოევიჩი-ჰიარტარსონი 1:0, ნოგეირასი-კასპაროვი 0,5:0,5, ბელიავსკი-კორჩნოი 0:1, სპასკი-ილესკასი 1:0, სალოვი-სეირავანი 1:0, სპილმენი-ჰიუბნერი 0,5:0,5, ნიკოლიჩი-რიბლი 0:5:0,5. გადაიდო ვაჰანიან-იუსუპოვის პარტია. თავისუფალი იყო შორტი. **XVI ტური:** სპილმენი-შორტი 1:0, სალოვი-ჰიუბნერი 1:0, ბელიავსკი-ჰიარტარსონი 1:0, სპასკი-რიბლი 0,5:0,5, ნიკოლიჩი-სეირავანი 0,5:0,5, ვაჰანიანი-კორჩნოი 0,5:0,5, ნოგეირასი-იუსუპოვი 0,5:0,5. მსოფლიო ჩემპიონისთვის უკეთეს პოზიციაში გადაიდო კასპაროვ-ილესკასის პარტია. ისვენებდა ლიუბოევიჩი.

XI ტურის გადადებულ შეხვედრაში სალოვმა სძლია ილესკასს. იუსუპოვი თამაშის განუახლებლად დანებდა ვაჰანიანს (XV ტურის გადადებულ პარტიაში).

აღსანიშნავია, რომ XIII ტურის შეხვედრა ნოგეირასსა და სპასკის შორის მხოლოდ ერთ (!) წუთს გაგრძელდა (გათამაშდა 13 სვლა). ეს არის ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე ხანმოკლე პარტია.

XVI ტურის შემდეგ 10,5 ქულით შეჯიბრებას იუგოსლავიელი ლიუბომირ ლიუბოევიჩი ლიდერობს. ვალერი სალოვს 9,5 ქულა აქვს, გარი კასპაროვს — 9 ქულა და ერთი გადადებული პარტია. შემდეგ მოდიან: ვიქტორ კორჩნოი — 9, რობერტ ჰიუბნერი, ნაიჯელ შორტი — 8,5-8,5, პრედრაგ ნიკოლიჩი, ბორის სპასკი — 7,5-7,5, ზოლტან რიბლი, რაფაელ ვაჰანიანი, არტურ იუსუპოვი — 7-7, ჯონათან სპილმენი — 6,5, ალექსანდრე ბელიავსკი, იასერ სეირავანი — — 6-6 (1-1), იოჰან ჰიარტარსონი — 6, მიგელ ილესკასი — 5,5(1), ხესუს ნოგეირასი — 5.

ჩოგბურთის ამბები

ლარგო (აშშ, ფლორიდას შტატი). აქ დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს პოპულარული „საბჭოთა ტრიო“ მინსკელი ნატალია ზვერევას, ლვოველი ლარისა სავჩენკოსა და თბილისელი ლეილა მესხის შემადგენლობით.

ორი მათგანისთვის პირველივე ტური უიღბლო გამოდგა. მესხი დამარცხდა პერუელ ლაურა გილდემეისტერთან — 4:6, 4:6. სავჩენკომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენელს როზალინ ფაირბანკს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია მხოლოდ პირველ პარტიაში, მაგრამ მაინც დამარცხდა — 6:7. მეორე შეხვედრაში სამხრეთაფრიკელის უპირატესობა უფრო შესამჩნევი იყო — 6:3.

სასტარტო შეხვედრაში წარმატებით იასპარეზა მხოლოდ ნატალია ზვერევამ, რომელმაც ამერიკელ კეიტ გომპერტერს აჯობა — 6:3, 6:2. მთავარმა ფავორიტმა, არგენტინელმა გაბრიელა საბატინიმ პირველ ტურში თანამემამულეს ბეტინა ფულკოს მოუგო — 7:5, 6:2.

ნიცა. საფრანგეთის ამ ქალაქში მიმდინარე ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის პირველ დღეს ანდრეი ჩესნოკოვმა ავსტრალიელი ჯონ ფროლი დაამარცხა — 6:0, 6:2. მოულოდნელი შედეგით დამთავრდა პირველ ნომრად განთესილი შვედი კენტ კარლსონის ორთაბრძოლა ნაკლებადცნობილ იტალიელ კლაუდიო პისტოლეზისთან. იტალიელმა გაიმარჯვა სამ პარტიაში — 6:0, 3:6, 6:2.

ერთობლივი ორგანიზაცია

შეიქმნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის კიდევ ერთი ერთობლივი ორგანიზაცია, ამჯერად, სპორტის დარგში. „მომენტუმ ენტერპრაიზმა“ (აშშ), „სოვინტერსპორტმა“ და სსრ კავშირის კრივის ფედერაციამ, კანადის ფირმა „ინტერკემ სპორტთან“ მჭიდრო კონტაქტში ხელი მოაწერეს 10-წლიან შეთანხმებას, რომლის თანახმად ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მოკრივეები წვრთნას გაივლიან შტატებში იქაური მწვრთნელების ხელმძღვანელობით, რათა შემდგომში შეხვდნენ პროფესიონალ მოკრივეებს.

ამერიკული ფირმა იღებს გლობალურ ვალდებულებას სპორტსმენთა წვრთნაზე, მათ გამოსვლებზე, ტელერეპორტაჟებსა და რეკლამაზე. საბჭოთა მოკრივეების პირველი ჯგუფი (ექვსი შერჩეული სპორტსმენი) საწვრთნელ ბაზას ეწვევა ამა წლის სექტემბრამდე.

მოვლენებს დაასწრო...

ჩოგბურთელი ნატალია ზვერევა გახდა პირველი საბჭოთა სპორტსმენი, რომელმაც ხელი მოაწერა პროფესიულ კონტრაქტს დასავლეთის „პროსერვის“ ფირმასთან. კონტრაქტის თანახმად ამიერიდან ზვერევას საქმეებს მთლიანად ფირმა გაუძღვება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის არც ერთ სპორტსმენს არ მოუწერია ხელი ამგვარი კონტრაქტისათვის. ადრე დასავლეთის ფირმებთან მოლაპარაკებას სსრ კავშირის სპორტსახკომი ან „სოვინტერსპორტი“ ატარებდა.

ამასთან დაკავშირებით ზვერევამ განაცხადა, რომ გადაწყვიტა მთლიანად მიიღოს საპრიზო თანხა, რომელიც მას ერგება მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელებთან შეხვედრებისთვის, რომ არ სურს აბარის ჩეკები სპორტსახკომს. მას ექნება მჭიდრო კონტაქტი ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციასთან და თავის ქვეყანას მხურვალედ დაუჭერს მხარს როგორც ფინანსურად, ისე საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობით.

სსრ კავშირის სახელმწიფო მწვრთნელმა ჩოგბურთში ვ. იანჩუკმა აღნიშნა: ზვერევამ წინ გაუსწრო მოვლენებს. „სოვინტერსპორტს“ უკვე ჰქონდა მოლაპარაკება უცხოეთის ფირმებთან ამის თაობაზე. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ნატალიას მიმართ გამოვიყენებთ რაიმე „ზომებს“. არავითარ შემთხვევაში. მეტსაც გეტყვით, კალენდარი საერთაშორისო შეჯიბრებებისა, რომელშიც ზვერევა საბჭოთა ჩოგბურთის ღირსებას დაიცავს, უფრო მრავალმხრივი და დატვირთული გახდება. სხვათა შორის, ეს გეგმა ქვეყნის ნაკრების უფროს მწვრთნელთან ოლგა მოროზოვასთან ერთად შეადგინა ჩოგბურთელის პირადმა მწვრთნელმა და მამამ მარატ ზვერევმა.

25-26 აპრილს ამ საკითხთან დაკავშირებით მოსკოვში გაიმართება სპეციალური პრესკონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ჟურნალისტები, სპორტსმენები და ოფიციალური პირები.

ველომრბოლები მსოფლიო გზატკეცილებზე

რომი. საკმაოდ ძნელად მიმდინარეობს საბჭოთა ველოსიპედისტების „აკლიმატიზაცია“ პროფესიონალთა შორის. აპულიის მრავალდღიანი ველორბოლის პირველ ეტაპზე დიმიტრი კონიშევი, რომელიც „ალფა-ლიუმის“ ფირმის ღირსებას იცავს, დიდხანს ლიდერობდა თანაგუნდელ ანქელო ლეჩისთან ერთად. მაგრამ ფინიშის მისადგომებთან კონიშევმა ვერ გაუძლო ტემპს და ჩამორჩა. ლეჩიმ პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი (183 კილომეტრი 4:40.36-ში დაფარა), საბჭოთა ველოსიპედისტი კი მეორე ათეულში აღმოჩნდა.

პარიზი. ტრადიციული საერთაშორისო ველორბოლის „ლუარ-ეშერის“ პროლოგი ყველაზე სწრაფად ფრანგმა ფრედერიკ მონკასინმა გაიარა. 2,2 კილომეტრიან დისტანციაზე დაყოფილი სტარტი მან 3.13.27 აჩვენა. პრიზიორთა შორის იყვნენ გდრ-ის წარმომადგენელი გერდ რაუდემი (3.15,7) და ჩეხოსლოვაკიელი იოზეფ რეგეცი (3.17,11).

საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო შედეგი — 3.18,54 (V ადგილი) ოლეგ კოზლიტინს ჰქონდა.

ბონი. ქვედა საქსონიის გზებზე მიმდინარე საველოსიპედო რბოლის მერვე ეტაპი მოიგო ლიდერმა — კარსტენ ვოლფმა (გდრ), რომელმაც 138 კილომეტრი 3:07.51-ში დაფარა. საერთო ჩათვლაში მეოთხე ადგილზეა როვნოელი ოლეგ ჩუევა, რომელიც ლიდერთან 1,15 წუთს აგებს. გუნდურ პირველობას ჯერჯერობით გდრ-ის ველოსიპედისტები ინარჩუნებენ.

„სპორტპროგნოზი“, მე-18 ტირაჟის პროგრამა (29.IV—2.V)

		პროგნოზი		
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
1. „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი)	29.IV	50	40	10
სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში (მეოთხედფინალები)				
2. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (მინსკი)	29.IV	80	10	10
3. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „შახტიორი“ (დონეცკი)	29.IV	80	10	10
4. „დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (ქუთაისი)	29.IV	80	10	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში (უმაღლესი ლიგა)				
5. ცსკა ვმფ — „დინამო“ (ლვოვი) ქ. მოსკოვში	29.IV	80	10	10
6. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი) ქ. მოსკოვში	29.IV	10	10	80
7. „უნივერსიტეტი“(მოსკოვი) — „დინამო“ (ალმა-ათა) ქ. მოსკოვში	29.IV	60	20	20
8. „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) ქ. მოსკოვში	29.IV	50	10	40
სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში (უმაღლესი ლიგა)				
9. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ფილი“ (მოსკოვი)	29.IV	30	30	40
10. „სლავა“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	30.IV	60	10	30
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)				
11. „პამირი“ (დუშანბე) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)	2.V	60	20	20
12. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „უალგირისი“ (ვილნიუსი)	2.V	20	70	10
13. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „არარატი“ (ერევანი)	2.V	60	30	10

შენიშვნა: ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების მატჩებში მხედველობაში მიიღება ძირითადი დროის შედეგი.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07149